საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 26 ნოემბერი, 2014 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/25

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის
არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-8 და 15 მუხლებისა და ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №01-04-01/35 დადგენილების პირველი, მე-9 და 11 მუხლების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. **2014 წლის 25 ნოემბრიდან** გამოცხადდეს არჩევნები სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად;

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:
ა) უმაღლესი განათლება;
ბ) უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სამუშაო სტაჟი;
გ) სამოქმედო გეგმა;

3. რექტორად შიძლება არჩეული იქნეს პირი, რომელსაც უკავია პროფესორის აკადემიური თანამდებობა აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომლის მიმართულებაც შეესაბამება ხელოვნების უნივერსიტეტს და მის ფაკულტეტებზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებს.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაწყებული იქნეს 2015 წლის 05 იანვრიდან და დასრულდეს 2015 წლის 09 იანვარს.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ხელოვნების უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში (ქ.ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. № 37, ოთახი № 41), შაბათ–კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10 სთ–დან 16 სთ–მდე;

6. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
ა) სამოქმედო გეგმა;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით ¾;
დ) ავტობიოგრაფია (c.v)

ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

ვ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/ ინფორმაცია უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟის მითითებითა და შრომითი საქმიანობის შესახებ;

ზ) ცნობა აკადემიური თანამდებობის მითითებით.

7. რექტორის არჩევნები ჩატარდეს 2015 წლის 13 იანვარს. რექტორის არჩევნებამდე აკადემიური საბჭო მოისმენს რექტორობის კანდიდატის/ კანდიდატების სამოქმედო გეგმას.

8. რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) კანდიდატების რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.

9. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია